

ნუსტან კუტივაძე

ისრაელში ქართული წიგნის ბეჭდვის ისტორიას

როგორც ცნობილია, ისრაელში XX საუკუნის 70-იან წლებში მოხდა ქართველთა პირველი ემიგრაცია. ფაქტობრივად, მაშინ რამდენიმე ოჯახმა შეძლო წინაპართა სამშობლოში დაბრუნება. ამდენად, ამ პერიოდის ემიგრაციამ ისეთი ინტენსიური კულტურული საქმიანობა ვერ გაშალა, როგორც XX საუკუნის 90-იანი წლების რეპატრიანტებმა.

ამ საქმიანობის უმნიშვნელოვანესი ნაწილი იყო ქართულენოვანი ჟურნალ-გაზეთების: „ალიას“ და „დროშას“ გამოცემა (სამწუხაროდ, ამჟამად ორივეს გამოცემა შეწყვეტილია) და ქართული წიგნების ბეჭდვა. შეიძლება ითქვას, რომ უახლოეს პერიოდში ქართული წიგნები საკმაოდ ინტენსიურად გამოიცემა. სწორედ ამ გამოცემების შედეგად დღეს ჩვენთვის ცნობილია ისრაელში მოღვაწე ქართულენოვანი ებრაელი მწერლები: იცხაკ დავიდი, თამარ კეზერაშვილი-მამისთვალოვი, იაკობ პაპიაშვილი, თინა შიმშელაშვილი, ენია მაღალაშვილი, დოდო ხუბაშვილი, თამარ სეფიაშვილი, ქეთი ბენ სიმონი, იაკობ ჩიკვაშვილი, ილია პაპისმედოვი, ნანა შაბათაშვილი-დავარი, სიმა ჯანაშვილი, სიმბა ადარი (აჯიაშვილი), ფანი და პოლინა ბააზოვები, აბრამ მამისთვალოვი, გერშონ ბენ ორენი (წიწუაშვილი), იზა დავითაშვილი, ისაკ მეგრელიშვილი და სხვ.

ესენი არიან სხვადასხვა თაობის ადამიანები, პოეტური და პროზაული კრებულების ავტორები. მაგრამ აერთიანებთ საქართველოს ნოსტალგია, მაღლიერების გრძნობა და მიზიდულობის ის ძალა, რომელიც ჩვენმა ქვეყანამ მათთვის დღემდე შეინარჩუნა. პოლიგრაფიულად ძალზე მაღალ დონეზე დასტამბული, თუმცა მხატვრული თვალსაზრისით არათანაბარი ღირებულების მქონე ნაწარმოებების ძირითადი თემა საქართველოში განცდილი და ნანახია.

უფრო კონკრეტულად შევჩერდებით სულო სეფიაშვილის რომანზე „გაქცევა არსაიდან“, რომლის I წიგნი 2001 წელს, ხოლო II 2002 წელს გამოქვეყნდა თელ-ავივში. წიგნს ახლავს რეზიუმე ივრითულ ენაზე. რომანის მიმართ დიდი იყო ინტერესი როგორც ისრაელში, ასევე საქართველოში. ამას იმ ფაქტმაც შეუწყო ხელი, რომ რომანი 1997-1999 წლებში გაზეთ „ალიას“ ფურცლებზე გამოქვეყნდა.

რომანის ძირითადი სიუჟეტური ქარგა დეტექტიურია. მოქმედება ხდება 1990-იანი წლების აფხაზეთში, სოხუმში იპარაგენ ებრაულ საოჯახო რელიკვიას თების სეფარადს და კლავენ 80 წელს მიტანებულ მოხუცს, რომელმაც არ დატოვა აფხაზეთი. ნაწარმოებში, მთავარი ამბის პარალელურად, რამდენიმე ოჯახისა და ერთი ოჯახის რამდენიმე თაობის ისტორიაა მოთხრობილი, რითაც, ფაქტობრივად, აღწერილია ებრაული მოდგმის ტრაგედია, არსებობისათვის ბრძოლაში შეძენილი თუ საერთოდაც მისთვის დამახასიათებელი ნიშან-თვისებები.

„გაქცევა არსაიდან“, ფაქტობრივად, ვრცელი საგაა ერთი ებრაული ოჯახისა, რომელიც აჩვენებს ებრაული მოდგმის დრამატიზმსაც და ქართულ-ებრაული ურთიერთობის საუკეთესო მხარეებსაც.

რომანი აირეკლავს XX საუკუნის დასასრულის საქართველოს (აფხაზეთის) რეალობას. თბილისიდან უკავშირდებიან კრასნოდარს, იქიდან კი სოხუმს.

თბილისში დედის სიკვდილის ამბავს რომანის მთავარი გმირი - შალვა ისრაელაშვილი მოსკოვიდან იგებს. მოსკოვიდან იშვება საშვი, რომ შვილი დედის დასასაფლავებლად ჩავიდეს. აქვე ვეცნობით დღეს აფხაზეთში არალეგალურად ჩამომსვლელთათვის შექმნილ ვითარებასაც.

შეიძლება ებრაელთა ხასიათის ნიუანსები ისე მკვეთრად აღარ ჩანს, მაგრამ ავტორი ძალზე საინტერესოდ აღწერს მათს ხასიათსა და მის განმაპირობებელ სხვადასხვა ფაქტორს.

მისი აზრით, ფულის შოვნის სურვილმა დაასახლა საქმისა და ფულის შოვნის ალღოს მქონე ებრაელები სოხუმშიც. ავტორის თქმით, ებრაელობას თავისი ქონება იოლად არ დაუგროვებია. „არავინ ამჩნევდა, რომ ებრაელობა იყო სწორედ ის მოტორი, ძრავი, რომელსაც მოძრაობაში მოჰყავდა ის დიდი სახელმწიფო მექანიზმი, რომელსაც სახელად ალებ-მიცემობა, ვაჭრობა ჰქვია და რომლის გარეშე არაფრად ვარგა არც ერთი რაგინდ დიდი და ნედლეულით მდიდარი სახელმწიფოც კი“ (ს. სეფიაშვილი, 2001, გვ. 259). და რაკი ვერც ერთი ქვეყანა ვერ განვითარდება გამართული ეკონომიკისა და ვაჭრობის გარეშე, „აი, სწორედ ამ რგოლშია ატყიდებელი ებრაული ნიჭი, მისი შრომისმოყვარეობა, ერთგულება, პირიანობა, გონიერება, და კიდევ ის დიდი ეკონომიკური კავშირები, რომელიც თვით მესამე რაიხის უსასტიკესმა მანქანამაც ვერ დაამსხვრია. პირიქით, უფრო მეტად განთესა და განამტკიცა იგი (იქვე, გვ. 260). ამ თვალსაზრისით, ავტორის აზრით, ებრაელთა ასვლა ისრაელში საზიანო აღმოჩნდა იმ ქვეყნებისათვის, რომლებსაც ისინი ტოვებდნენ.

ს. სეფიაშვილს მიაჩნია, რომ, მეორე, ებრაელობისათვის ასევე დამახასიათებელი პროფესია ექიმობაა. რომანში ეს განსწავლისადმი ებრაელთა გენეტიკური მიდრეკილების შედეგადაა წარმოდგენილი. სწორედ ამიტომ ირჩევს ექიმობას არაკლასიკური განათლების მქონე, მაგრამ განათლებული ბაბუების შვილიშვილი, ნაწარმოების მთავარი გმირი შალვა ისრაელაშვილი (ნიშანდობლივია, რომ პროფესიით ექიმია ავტორიც). რომელიც რომანში საერთოდ არ აღგვეს სტერეოტიპს მხდალი, მოხერხებული, ფრთხილი ებრაელისა.

ავტორი არ გაუარბის ისეთ უხერხულ კითხვას, როგორცაა: რატომ არ უყვარდათ ებრაელობა? რის მიზეზადაც ღარიბი მოქალაქეების ებრაელთა ხანგრძლივ მვეალებობას მიიჩნევს, რასაც მათი წრიდან გამოსული უნიჭიერესი ადამიანები ანეიტრალებდნენ.

საქართველოში ებრაელთა თანაცხოვრების 26-საუკუნოვანი ისტორიის განმავლობაში ისტორიის ყველა ქარტეხილი ებრაელებმა ქართველებთან ერთად გადაიტანეს. პრობლემები, რომლებიც მთელი სიმძაფრით წამოიჭრა ჩვენს უახლეს წარსულში, საქართველოში მცხოვრები ყველა ეროვნების მოქალაქის პრობლემადაა წარმოდგენილი. „ახლა არც უნდა გაიხსენოს, როგორ დაცარიელდა სამეზობლო სოხუმიდან ებრაელების წასვლის შემდეგ. განა მართო ებრაელები! ქართველებიც გაიქცნენ, რუსებიც, ბერძნებიც“. - აღნიშნავს ავტორი (ს. სეფიაშვილი, 2001, გვ. 6).

მრავალი პლასტის შემცველია ქართულ-ებრაული ურთიერთობები. ეს პლასტები ნაწარმოებში წარმოდგენილია ბრწყინვალე მხატვრული ეპიზოდებით, ქართულ-ებრაული ურთიერთობის ხიბლს რომ შთამბეჭდავად აჩვენებს. მაგრამ ამასთან ერთად რამდენიმე მწავე და საჭირბოროტო საკითხიცაა წამოჭრილი.

ნაწარმოების ერთ-ერთი უმთავრესი პრობლემაა შერეული ქორწინება: „დიდი მნიშვნელობა აქვს იცოდეს კაცმა, ვინ არის ებრაელი – იუდეველი თუ ქრისტიანი – ქართველი“, - წერს ს. სეფიაშვილი (იქვე, გვ. 67).

პრობლემა რთულია და არც ავტორი ცდილობს მის გამარტივებას. მთავარი გმირი თავად არის შერეული ქორწინების მეწყვილე. ავტორი თვლის, რომ დიდი სიყვარულის შემთხვევაშიც ამგვარ ქორწინებას ახლავს ურთულესი პრობლემები, რომლებიც რელიგიური დღესასწაულებისა და ამასთან დაკავშირებული ადათების დაცვისას განსაკუთრებით მძაფრად იჩენს თავს.

ბედნიერი ქორწინების მიუხედავად, გაორებულია რომანის მთავარი გმირი. იგი ბოლომდე ვერ სცემს პასუხს კითხვას: რა არის საკუთარი მეუღლის დამოკიდებულება იუდაიზმთან? ვალის მოხდა თუ გულანთებული სიყვარული, უბრალოდ ქმრის ნების მიღება თუ რჩულის ცხოველყოფელობის განცდა. იუდაიზმზე გადასულ ნანას, რომელმაც სიყვარულით იცხოვრა ქმრის გვერდით, ისრაელში ასულს უჭირს საკუთარი აღმსარებლობის დასახელება. ქალმა ქმრისადმი პატივისცემა გამოხატა იუდაიზმის მიღებით, მაგრამ აღმოჩნდა, რომ შინაგანად იგი მაინც ქრისტიანად დარჩა.

საინტერესო, თუმცა საკამათო მოსაზრებაა გამოთქმული მონათესავე, ზიარ გვარებთან დაკავშირებით. ავტორის თქმით, ასეთი გვარების გაჩენა რწმენისათვის მნიშვნელობის მიუნიჭებლობის შედეგია. „რა მნიშვნელობა აქვს, ქრისტიანები არიან თუ ებრაელები ჩვენი წინაპრები: ჩვენ ხომ ქართველები ვართ?“ – ფიქრობს ებრაელ ვაჟზე შეყვარებული ქართველი გოგონა, მაგრამ, მწერლის აზრით, ეს შეიძლება უფრო სერიოზული მოვლენის შორეული ანარეკლიც იყოს: „ასე ფიქრობდნენ, ალბათ, ის პირველი იაკობაშვილები, სეფიაშვილები, ჯანაშვილები თუ მაღალაშვილები. თავიანთი თავი ქრისტიანებად რომ გამოაცხადეს და მოინათლენ კიდევ ალბათ ქრისტიანული წესით... იქნებ იძულებულნი იყვნენ ასე მოქცეულიყვნენ; იქნებ ეს მათი ფიზიკური გადარჩენის ერთადერთი შანსი იყო მაშინ; ვინ იცის“ (ს. სეფიაშვილი, 2001, გვ. 179).

წინააღმდეგობრივია ავტორის ამგვარი მოსაზრება: „საუცუნეების მანძილზე ჩვენი სასაუბრო ენა ქართული იყო, ივრითი კი სალოცავი ენა იყო საქართველოშიც და მთელს მსოფლიოში. მაღლიერნი იმით ვართ, რომ საქართველოში ამ ლოცვის საშუალება არ მოგვისპეს“, - აღნიშნავს მწერალი (იქვე, გვ. 174-175). თუ საქართველოში ადათები შეინახეს, ლოცვის საშუალება არ მოუსპეს, რატომ გახდნენ იბულებული გვარები შეეცვალათ? თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ეს ავტორის ძალიან ფრთხილი, ექვით გამოთქმული ვერსიაა და არა პოზიცია, რაც საბოლოოდაც ნაწარმოებში პასუხგაუცემელ კითხვად რჩება.

რომანის უმთავრესი ინტრიგა, უმთავრესი სიუჟეტური ხაზი, თების სეფარადის ირგვლივ განვითარებული მოვლენებია. იგი ისრაელაშვილების ოჯახის რელიკვიაა. მათ ის აუცილებლად უნდა ააბრძანონ ისრაელში, სწორედ ეს სეფარადი მოიპარეს ყაჩაღებმა. ამ ფაქტს შემთხვევით ემსხვერპლა მოხუცი დედა, რომელმაც არც ვაჟთან ერთად ისურვა ცხოვრება თბილისში, არც ქალიშვილთან ერთად ისრაელში და დარჩა მტრისაგან ოკუპირებულ სოხუმში ქმრის საფლავის მცველად.

სეფარადთანაა დაკავშირებული ხაგანთა უძველესი საგვარეულოსა და განძსაცავის ლეგენდარული ისტორია. ამ ისტორიას რომანი განსხვავებულ

განზომილებაში გადაწყავს. სწორედ სეფარადთან მიმართებაში იკვეთება სხვადასხვა თაობის ებრაელთა არაერთგვაროვანი დამოკიდებულება იმ სულიერ ღირებულებებთან, რომლის გამოც სამეფო განძის მცველს სილარიბეში შეიძლება აღმოხდეს სული, რაც ახალგაზრდა თაობისათვის თითქმის გაუგებარია.

ებრაელთა ცხოვრება ისტორიულად ძალზე მძიმე იყო. მსოფლიოში გაფანტულ ამ ხალხს სწორედ თალმუდი, თორა აერთიანებდათ. ხსნის გზად კვლავ ისრაელში ასვლა ითვლება. მთავარი გმირიც მიიჩნევის, რომ ერთადერთი სწორი გადაწყვეტილება ისრაელში ასვლა, აღთქმის „თუ დაგივიწყო იერუსალიმ“ აღსრულება და თების სეფარადის, რომელიც 26 წელიწადია სალოცავადაც კი არ გაუხსნიათ სეფიაშვილების ოჯახში, იქ ატანაა. იგი ლეგენდარული განძის სახით შემოვიდა შალვას ცხოვრებაში თავის მცველთან, თითქოს ომში დაკარგულ მამასთან ერთად. ამ ფაქტის წინაშე დგომა რომანის მთავარ გმირს აფიქრებს საკუთარ ცხოვრებაზე, უჩნდება ეჭვი, რომ იქნებ სეფარადმა, როგორც რელიკვიამ, დაკარგა კიდევ ძველი მნიშვნელობა, რადგან მან მოხუცი დედის სიკვდილი მოიტანა, საერთოდაც, სწორად იცხოვრა კი?

სწორედ არსებულ რეალობასა და სოციალურ გარემოში უკეთ ადაპტირებული თაობის წარმომადგენელი, საკუთარი შვილი ხაზგასმით ეუბნება ისრაელში ასულ მამას: „სხვა დროა ახლა, სხვა ადგილია“.

შალვასთვის აბსოლუტურად გასაგებია მამის თავგანწირვა, ხაგანთა საიდუმლოს შენახვა, თების სეფარადის ერთგულება და ამის გამო უარის თქმა, ფაქტობრივად, ჩვეულებრივი ადამიანის მშვიდ ცხოვრებაზე, საერთოდაც, პირად ცხოვრებაზე. გასაგებია, რადგან მან კარგად იცის ამ ნივთის მნიშვნელობა ებრაული ოჯახისათვის. მაგრამ მისი შვილები, რომლებიც კარგად განსწავლულები არიან, იციან თავიანთი რჩული, ადათები, რომელთა ერთგულებაც მართებთ, შეძლებულებიც არიან და თვლიან, რომ ქონება ღვთის საჩუქარია და მასში მუდმივად უნდა იყოს ღვთის სასიკეთო საქმეთა საკეთებელი წილი, ერთმანეთისაგან მკვეთრად მიჯნავენ რწმენასა და რეალობის მოთხოვნებს. მათთვის მამის ისრაელში ასვლა, თუნდაც უძველესი, ისტორიული სეფერთორის ასაბრძანებლად და ამით ღმერთის წინაშე ვალის მოსახდელად, მაინც აჩქარებულ, დაუფიქრებელ ნაბიჯად რჩება, რადგან თვლიან, რომ სეფერთორა, თუნდაც წინაპრისაგან ნაანდერძევი, არ არის რწმენა, რომ ერთი სეფერთორა არ შეიძლება ოჯახსა და მის ინტერესებზე ძვირფასი იყოს.

მათთვის ხაგანთა ლეგენდაც მხოლოდ გულუბრყვილო იმედის სხივია და სხვა არაფერი. ეს უკვე XXI საუკუნის თაობის აზროვნებაა.

ჰაინეს ეკუთვნის არაჩვეულებრივი სიტყვები: „ბიბლია ეს სამშობლოა, რომელიც ყოველ ებრაელს თან დააქვს“.

აშკარაა, რომ დროის ცვლილების გამო ებრაელთა რეალური სამშობლო და წინაპართა სამშობლო უკვე ერთი ხდება და აღარაა ის აღთქმული მიწა, რომლისაკენაც საუკუნეთა განმავლობაში მიისწრაფოდნენ.

მათ სწორედ თორაში შეინახეს თავი, მაგრამ დღეს რწმენა მათთვისაც, როგორც ჩანს, უფრო მეტად სუბიექტურ ფაქტორად (განცდად) იქცა. ამ რეალობას აშკარად აჩვენებს რომანი. ასევე, აჩვენებს იმასაც, რომ ისინი მადლობელნი არიან იმ ქვეყნის, რომელიც მათთვის რეალურ სამშობლოდ იქცა, სადაც ისინი იცავდნენ ადათებს, რწმენას, ჰქონდათ სალოცავები და ცნობიერებით არასდროს დაუკარგავთ წინაპართა სამშობლოც.

ვეფქრობთ, ს. სეფიაშვილის რომანი ძალზე საყურადღებო მოვლენაა ქართულ-ებრაული ურთიერთობების საკმაოდ მასშტაბურად, მრავალი პრობლემის კომპლექსურად წარმოჩენის თვალსაზრისით, ამასთან ნაწარმოები ასახავს მსოფლმხედველობრივ ცვლილებებს სხვადასხვა თაობის წარმომადგენლებს შორის, რაც თავისთავად აჩენს კითხვას: ახალი თაობა, რომელიც ისრაელში იცხოვრებს, რომელსაც იქ გაუჩნდება შთაშობაველობა, შეინარჩუნებს იმავე დამოკიდებულებას საქართველოსთან? ამ კითხვას მხოლოდ დრომ შეიძლება უპასუზოს.

ისრაელში გამოქვეყნებული ქართული წიგნები საინტერესო კულტურული ფენომენია. ის ინახავს ინფორმაციას ორი ერის თანაცხოვრებისა და განვითარების, მათ მიერ განვლილი ისტორიული პერიპეტეების შესახებ. ამასთან, სწორედ ეს პუბლიკაციები ქმნის საინტერესო ლიტერატურულ პროცესს, რომელიც, ვფიქრობ, სამომავლოდ კიდევ უფრო მაღალმხატვრულ ნიმუშებს მოგვცემს.

ლიტერატურა

ს. სეფიაშვილი, „გაქცევა არსაიდან“, თელ-ავივი, 2001.

NESTAN KUTIVADZE

FROM THE HISTORY OF PRINTING GEORGIAN BOOKS IN ISRAELI

In the last quarter of the 20th century one of the most important cultural activities of the Jews emigrated from Georgia was publication of Georgian language newspapers "Alia" and "Drosha" (unfortunately their publications has ceased) and of Georgian books. Presently we witness publication of quite a number of books. These publications have made many Georgian language Hebrew authors famous. They are the people of different generations writing books of poetry and various prose collections; most conspicuous common sentiments in their works are nostalgia of Georgia, sense of gratitude, charm and the attraction to the country they have been cherishing for years. Technical level of these publications corresponds to highest standards, although their artistic merits, naturally, are of different qualities. The main themes are also memory and feelings experienced in Georgia.

Among the publications of the recent period I would like to single out the novel of Sulo Sepiashvili "Flight from Nowhere" the first and the second part of which were published in 2001 and 2002, respectively. The book has a summary in Hebrew. The novel aroused keen interest in Israeli and in Georgia.

The novel "Flight from Nowhere" is a vast saga of a Jewish family that provides realistic picture of the dramas of Jewish communities and the brightest parts of Jewish-Georgian relationships:

Sulo Sepiashvili's novel is a noteworthy phenomenon in the Jewish-Georgian relationship distinguished not only with the breadth but also with the complexity of exposition. The novel also reflects the change in the world-views among the different generations raising the question whether or not the new generations, born in Israeli, continue to maintain the same relations to Georgia? The answer to the question could only be entrusted to the Future.

Georgian books published in Israeli are interesting cultural phenomena. They preserve the information of the common life and development of the two nations, stories of historical co-existence. The publications as facts create an interesting literary process that ought to give birth to more examples of high standard literature.